სასწავლო კურსის სილაბუსი

| | |
|---|---|
| სასწავლო კურსის სახელწოდება | **შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (კომპარატივისტიკა) და კულტურის ტიპოლოგია** |
| ავტორი (ავტორები) | **ირმა რატიანი,** პროფესორი |
| ლექტორი (ლექტორები) | **ირმა რატიანი**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი;<br>**სოლომონ ტაბუცაძე,** ასოცირებული პროფესორი.<br>კოორდინატები: სამსახური _ ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი (VIII კორპუსი, ოთახი #224).<br>ელ-ფოსტა: ratiani@litinstituti.ge<br>solotab@yahoo.com |
| სასწავლო კურსის კოდი | კოდის მინიჭება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი წესის შესაბამისად. |
| სასწავლო კურსის სტატუსი | 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| | 2. კურსი გათვალისწინებულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურის სწავლებისათვის. |
| | 3. არჩევითი |
| სასწავლო კურსის მიზნები | **კურსის მიზანია**: კომპარატივისტული პოეტიკის პრინციპების გაცნობა და მისი მიმართების დადგენა კულტუროლოგიის ძირითად პრინციპებთან; მხატვრულ–ლიტერატურული აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპების ანალიზი დასავლურ–აღმოსავლური კულტურული მოდელების, აგრეთვე, მდგრადი და გარდამვალი კულტურული ეპოქების კონტექსტში; კომპარატივისტული ანალიზის მიმართების დადგენა ისტორიულ და კულტურულ მენტალობასთან, ლიტერატურის ნაციონალურ და მსოფლიო გაგებასთან; თანამედროვე „ცივილიზაციათა ინტეგრაციის" პროცესში „კულტურათაშორისი დიალოგის"ძირითად მიმართულებათა მნიშვნელობის გააზრება; კომპარატივისტული ჰერმენევტიკის მეთოდზე დაყრდნობით ლიტერატურის ახალი განსაზღვრების ჩამოყალიბება. |
| კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS) | 5 კრედიტი = 125 სთ.<br>2+2 (2 შუალედური გამოცდით)<br><br>სალექციო – 30 სთ<br>ჯგუფური მუშაობა – 30 (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩატარების – 4 სთ – 2 სთ თითო შუალედურ გამოცდაზე)<br>შუალედური გამოცდებისთვის მომზადება – 4-4 სთ (სულ 8)<br>დასკვნითი გამოცდისთვის მომზადება – 9<br>დასკვნითი გამოცდის ჩაბარება – 3 სთ.<br>ლექცია-სემინარებისთვის მომზადება – 45 სთ. |

| | |
|---|---|
| დაშვების წინაპირობები | კურსი არ საჭიროებს წინაპირობას |
| სწავლის შედეგები | კურსის სწავლების შედეგად, მაგისტრანტს შეეძლება შეძენილი ცოდნის გამოყენება შემდეგი მიმართულებით :<br>1. ცოდნა და გაცნობიერება: შეიძენს უახლეს თეორიულ და კვლევაზე დაფუძნებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას _ გაეცნობა ისეთ უმნიშვნელოვანეს თეორიებს როგორიცაა თეორია კომპარატივისტული პოეტიკისა და კულტუროლოგიის ინტერაქციის შესახებ; უნივერსალური ლიტერატურის თეორია; ნაციონალური და მსოფლიო ლიტერატურის თეორია და სხვა. შეეძლება ახალი ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება.<br>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: შეეძლება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში (კონკრეტულ ლიტერატურულ და კულტურლ მოდელებთან მიმართებაში) გამოყენება, ვინაიდან პრეზენტაციის ფორმატი გაითვალისწინებს საკუთარი პოზიციის გამოხატვას შესწავლილი მასალის გამოყენებით; საშუალება ექნება, გაეცნოს სხვადასხვა თეორეტიკოსების მიერ დაწერილ საეტაპო მნიშვნელობის მქონე სტატიებსა და წიგნებს, რაც საშუალებას მისცემს, თვალი გაადევნოს ამ თეორიების კვლევაში დანერგვის მეთოდოლოგიებს;<br>3. სწავლის უნარი: შეეძლება საკვლევი ამოცანების დამოუკიდებლად დაგეგმვა, მოიძიებს ამოცანების გადაწყვეტის ახალ და ორიგინალურ გზებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით _ რეფერატის პრეზენტაცია მოითხოვს მასალის მოძიებას ელექტრონულ ბიბლიოთეკებში. გაეცნობა უცხო ენებზე დაწერილ მნიშვნელოვან სამეცნიერო ტექსტებს; იყენებს სასწავლო რესურსების სრულ სპექტრს ;<br>4. დასკვნის უნარი: კრიტიკული მიდგომების გათვალისწინებით შეეძლება რთული მონაცემების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.<br>5. კომუნიკაციის უნარი: შეეძლება შესწავლილი მასალის შეფასება, ანალიზი და მისდამი კრიტიკული დამოკიდებულების ჩამოყალიბება; სრულად დაეუფლება სამეცნიერო ტექსტის უცხო ენებზე კითხვის უნარ-ჩვევას; შეეძლება აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია; აკადემიური პროექტის შემუშავება და მართვა.<br>6. ღირებულებები : შეეძლება არსებული ღირებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. |
| სასწავლო კურსის/მოდულის შინაარსი | იხ. დანართი #2 |
| სწავლების/სწავლის მეთოდები | **აღწერითი, შედარებითი, შეპირისპირებითი**<br>ლექცია /სამუშაო ჯგუფი |
| შეფასების კრიტერიუმები | კურსის განმავლობაში გამოყენებული იქნება ლექციისა და სამუშაო ჯგუფის ფორმა. ჩატარდება ორი შუალედური წერითი გამოკითხვა და პრეზენტაცია სამუშაო ჯგუფში.კურსი დამთავრდება წერითი გამოცდით. შეფასების ფორმად მიღებული იქნება ასბალიანი სისტემა. ჩატარდება ორი შუალედური წერითი გამოკითხვა (უმაღლესი ქულა _ 30). შუალედური წერითი გამოკითხვის პროცესში სტუდენტები პასუხს გასცემენ სწავლების კონკრეტული ეტაპისათვის მნიშვნელოვან სათანადო კითხვებს. ჩატარდება, აგრეთვე, |

| | |
|---|---|
| | რეფერატების ზეპირი პრეზენტაცია: სტუდენტები აირჩევენ მათთვის საინტერესო თემას და წარმოადგენენ რეფერატებს. საბოლოო შეფასებისას მოხდება შუალედურ წერით გამოკითხვაზე მიღებული ქულების, სამუშაო ჯგუფში მუშაობის ქულის (მაქსიმალური ქულა – 10), პრეზენტაციის ქულის (მაქსიმალური ქულა -10), დასწრების  ქულისა (მაქსიმალური ქულა _ 10) და გამოცდაზე მიღებული ქულის (მაქსიმალური ქულა _ 40) დაჯამება. შესაბამისად, ნიშნები დაიწერება შემდეგი პროცენტული გადანაწილების გათვალისწინებით:<br>**დასწრება – 10 ქულა**<br>**სამუშაო ჯგუფი – 10 ქულა**<br>**I შუალედური წერითი გამოკითხვა – 15 ქულა**<br>**II შუალედური წერითი გამოკითხვა – 15 ქულა**<br>**რეფერატის პრეზენტაცია – 10 ქულა**<br>**დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა**<br><br>გამოცდაზე დაშვების წინაპირობა – 11 ქულა<br><br>სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა - 10 ქულა (საშინაო დავალებები - 5, დისკუსია - 5) .<br>სამუშაო ჯგუფში სტუდენტის აქტივობა ყოველკვირეულად შეფასდება.<br>**თითოეულ შუალედურ წერით გამოცდაზე პასუხი გაეცემა 5 შეკითხვას. თითო შეკითხვა – მაქს. 3 ქულიანია.**<br>წერილობითი პასუხის შეფასების კრიტერიუმები შუალედური შემოწმებისთვის :<br>1) 3 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.<br>2) 2-2,5 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია ნაკლებად არის გამოყენებული, ან ყოველთვის არ არის შესაბამისი; გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.<br>3) 1-1,5 ქულა: პასუხი არასრულია, ბუნდოვანი; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი ხშირად მცდარია.<br>4) 0,5-1 ქულა: პასუხი სუსტია ან არსებითად მცდარი.<br>5) 0 ქულა: პასუხი საკითხზე  საერთოდ არაა მოცემული.<br>**რეფერატის პრეზენტაცია _ 10 ქულა**<br>8-10 ქულა: არჩეულ საპრეზენტაციო თემასთან დაკავშირებით სტუდენტს დამუშავებული და ათვისებული აქვს სილაბუსით გათვალისწინებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა, ასევე ლექტორის მიერ მითითებული ლიტერატურაც რომელიმე უცხო ენაზე. სტუდენტს წერილობით ნაშრომი გაფორმებული აქვს სწორად: გამოყოფილია თავფურცელი, თავები და პარაგრაფები, ერთვის სქოლიოები და ბიბლიოგაფია. სასურველია, თუკი პრეზენტაციის დროს, კომპიუტერული ტექნოლოგიის გაოყენებით, სტუდენტი ახერხებს ჯგუფელების დაინტერესებას და მათ ჩართვას განსახილველ თემაში შემდეგი დისკუსიის მიზნით; მეტყველებს დამაჯერებლად, არგუმენტირებულად და გამართული |

| | |
|---|---|
| | ენით; ახერხებს აზრის ჩამოყალიბებას 10 წუთში; სწორად და საინტერესოდ პასუხობს თემასთან დაკვშირებით ჯგუფში წარმოქმნილ კითხვებს;<br>6-7 ქულა: არჩეულ საპრეზენტაციო თემასთან დაკავშირებით სტუდენტს დამუშავებული და ათვისებული აქვს სილაბუსით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა და ზოგიერთი სტატია ან მონოგრაფიის ნაწილი დამხმარე ლიტერატურიდან; არა აქვს განხილული ლექტორის მიერ მითითებული ლიტერატურა რომელიმე უცხო ენაზე. სტუდენტს წერილობით ნაშრომი გაფორმებული აქვს სწორად: გამოყოფილია თავფურცელი, თავები და პარაგრაფები, ერთვის სქოლიოები და ბიბლიოგაფია, თუმცა დაშვებულია გარკვეული შეცდომები. პრეზენტაციის დროს სტუდენტი მხოლოდ ნაწილობრივ ახერხებს ჯგუფელების დაინტერესებას; ვერ რთავს მათ განსახილველ თემაში შემდეგი დისკუსიის მიზნით; ვერ მეტყველებს ბოლომდე დამაჯერებლად; ვერ ეტევა ან აჭარბებს პრეზენტაციისთვის მიცემულ 10 წუთს; სწორად და საინტერესოდ ვერ პასუხობს თემასთან დაკვშირებით ჯგუფში წარმოქმნილ კითხვებს.<br>4-5 ქულა: არჩეულ საპრეზენტაციო თემასთან დაკავშირებით სტუდენტს დამუშავებული აქვს სილაბუსით გათვალისწინებული მხოლოდ ძირითადი ლიტერატურა, მაგრამ ჩანს რომ ეს ლიტერატურა არა აქვს ათვისებული ჯეროვნად; სტუდენტს არა აქვს დამუშავებული სამეცნიერო ლიტერატურა არც ერთ უცხოურ ენაზე. წერილობით ნაშრომი გაფორმებულია არა სწორად: გამოყოფილია თავფურცელი, მაგრამ თავები და პარაგრაფები არ არის დაყოფილი, ან დაყოფილია არასწორად; არ ერთვის სქოლიოები და ბიბლიოგაფიის ნაწილი მოუწესრიგებელია. პრეზენტაციის დროს სტუდენტი მხოლოდ ვერ ახერხებს ჯგუფელების დაინტერესებას; ვერ რთავს მათ განსახილველ თემაში შემდეგი დისკუსიის მიზნით; ვერ მეტყველებს ბოლომდე დამაჯერებლად; ვერ ეტევა ან აჭარბებს პრეზენტაციისთვის მიცემულ 10 წუთს; სწორად ვერ პასუხობს თემასთან დაკავშირებით ჯგუფში წარმოქმნილ კითხვებს.<br>3-0 ქულა: სტუდენტი ამზადებს საპრეზენატიო თემას ყველა ზემოთ გათვალისწინებული მოთხოვნის სრული დარღვევით ანაც – ვერ ამზადებს საერთოდ.<br>**დასკვნითი გამოცდა (წერითი) - 40 ქულა** |
| ძირითადი ლიტერატურა | ადრიან მარინო, კომპარატივიზმი და ლიტერტურის თეორია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ., 2010.<br>ლიტერატურის თეორიია ქრესტომათია. ტ. II. თბ., 2010.<br>პოლ არონი, ალენ ვიალა, ლიტერატურის სოციოლოგია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ., 2011. |
| დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა | ყოველ თემას მითითებული აქვს საჭირო დამატებითი ლიტერატურა. |
| დამატებითი ინფორმაცია/პირობები | |

დანართი 2

## სასწავლო კურსის შინაარსი

| N | თემა (ლექცია/სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი/ ლაბორატორიული სამუშაო და ა. შ.) | სასწავლო მასალა |
|---|---|---|
| 1 | ლექცია #1: კომპარატივისტული პოეტიკა. კულტუროლოგია და კომპარატივისტიკა<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>ადრიან მარინო, კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ. 2010. გვ. 10-21.<br>ანა ბალაკიანი, ლიტერატურის თეორია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა // სჯანი 11, 2010. გვ. 78-86.<br>თ. ნუცუბიძე, თანამედროვე ლიტერატურული კომპარატივიზმი // წერილები ლიტერატურისა და კულტურის შესახებ. თბ. 2010. Gგვ. 5-13.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>Rene Wellek, The Crisis of Comparative Literature // Concepts of Criticism. New Heaven and London, 1965.<br>Светлана Минц. Рождение культурологии. СПб., 1999, გვ. 7-16<br>Силичев Д.А. Культурология. М., 1998, გვ.17-19<br>История и культурология. Под ред. Н.В. Шишовой. М., 1999, გვ.40; | |
| 2 | ლექცია #2: უნივერსალური ლიტერატურა. ცნება და ტიპოლოგია<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>ადრიან მარინო, კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ. 2010. გვ. 30-40.<br>რენე უელეკი, ოსტინ უორენი, ლიტერატურის ბუნება// ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია. ტ. II. თბ., 2010. გვ. 270-282.<br>პოლ არონი, ალენ ვიალა, ლიტერატურის სოციოლოგია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ., 2011.გვ. 44–57.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>*Rene Wellek*, Concepts of Criticism, 1963. p. 282-295<br>Александр Дима. Принципы сравнительного литературоведения. М., 1977, გვ.37.<br>Неупокоева И.Г. История всемирной литературы. Проблемы системного и сравнительного анализа. М., 1976, გვ.: 14, 20, 40, 237-264. | |
| 3 | ლექცია #3: დასავლური ლიტერატურული მოდელი და აღმოსავლური ლიტერატურის აღმოჩენა.<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>ადრიან მარინო, კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ. 2010. გვ. 40-44.<br>გ. აპოლინერი, `ახალი ცნობიერება და პოეტები // ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია. ტ. II. თბ. 2010. გვ. 20-32.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>Конрад Н.И. Запад и Восток.М., 1978, გვ.: 17-29<br>*Charles Witke,* Comparative Literature and the Classics: East and West // Tamkang Review, II-III, 1971-1972. p. 13-15. | |

| | | |
|---|---|---|
| | *James Robert Hightower*, Chinese literature in the Context of the World literature // Comparative literature, V (1953). Pp. 117-124. | |
| 4 | ლექცია #4 : ნაციონალური ლიტერატურა. ცნების ისტორია, თანამედროვე გააზრება და განსაზღვრის ძირითადი პარამეტრები<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>ი. რატიანი, ქართული ლიტერატურა _ მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ნაციონალური მოდელი //<br>// **[www.irmaratiani.ge](http://www.irmaratiani.ge)**<br>პოლ არონი, ალენ ვიალა, ლიტერატურის სოციოლოგია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ., 2011. გვ. 19–24.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>Александр Дима. Принципы сравнительного литературоведения. М., 1977, გვ.37.<br>Неупокоева И.Г. История всемирной литературы. Проблемы системного и сравнительного анализа. М., 1976, გვ.: 14, 20, 40, 237-264.<br>Rene Wellek, Concepts of Criticism, 1963. p. 282-295 | |
| 5 | ლექცია #5: ნაციონალური ლიტერატურები და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. კომპარატივისტული პარადიგმა<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი // ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია. ტ. II. თბ. 2010. გვ. 37-40<br>ი. რატიანი, ნაციონალური ლიტერატურები და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საზღვრები // წახნაგი 2. ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული. –თბ., 2010. გვ. 150-159;<br>პოლ არონი, ალენ ვიალა, ლიტერატურის სოციოლოგია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ., 2011. გვ. 109–111.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>Analyzing Intercultural Communication, 1987. p. 242-253.<br>Неупокоева И.Г. История всемирной литературы. Проблемы системного и сравнительного анализа. М., 1976, გვ.: 5-185; | |
| 6 | ლექცია #6: მდგრადი და გარდამავალი კულტურული ეპოქები. ლიტერატურული ინტერაქციებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესი<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br><br>ი. ლოტმანი, კულტურა და აფეთქება, თარგმანი გაგა ლომიძისა. თბ. 2002 გვ. 10–40.<br>პოლ არონი, ალენ ვიალა, ლიტერატურის სოციოლოგია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ., 2011. გვ. 57–81.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>*Gideon Sjoberg*, Comparative Method in the Social Science // Comparative perspective. Theories and Methods. 1970. p. 26-38.<br>Неупокоева И.Г. История всемирной литературы. Проблемы системного и сравнительного анализа. М., 1976, გვ.: 5-185, 253-262;<br>Кривцун О.А. Эстетика. М., 1998, გვ.: 262-273. | |

| | | |
|---|---|---|
| 7 | ლექცია #7: ევროპული მოდელი: არეალი, დიფერენციაცია, განვითარების ძირითადი ეტაპები, მხატვრული ასახვის სისტემები.<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>ლ. პატარიძე, ტერიტორიული და კუჯლტურული იდენტობები გაქრისტიანების კონტექსტში // პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VII სს ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრების“ სამყაროში. გვ. 105-112.<br>პ. ბურკე, რენესანსი (თარგმნილი ქართულ ენაზე).<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>Аверинцев С. С. Древневизантийская куьтура. - СПб. 2004.<br>Типология и периодизация культуры Возрождения. М., 1978<br>Конрад Н.И. Запад и Восток.М., 1978, გვ.: 17-29<br>Жак ле Гофф. Другое средневековье. Екатиренбург, 2002. | |
| 8 | ლექცია #8: აღმოსავლური მოდელი: კულტურული ორიენტირების ცნება და სტრუქტურა. ტიპოლოგიური განსხვავებანი და მათი სინთეზირების პროცესი.<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>კრ. ორიენტალისტური ძიებანი (რედ. ლ. მენთეშაშვილი). თბ., 1994. სტატიები მითითებული იქნება ლექციაზე.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>Конрад Н.И. Запад и Восток.М., 1978, გვ.: 3-17.<br>Конрад Н.И. Японская Литература. М. გვ.: 7-19.<br>ი. რატიანი, მთარგმნელისაგან // ასი უძველესი იაპონური ლექსი. თბ. 2008. | |
| 9 | ლექცია #9: ახალი და უახლესი დროის ლიტერატურა (მხატვრული ხედვის ევოლუციის ძირითადი ეტაპები)<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>ი. რატიანი, თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესი.<br>// / www.irmaratiani.ge<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>Искусство Нового времени. Опыт культурологического анализа. СПб., 2000, გვ.: 8-108; 168-237. | |
| 10 | ლექცია #10: ისტორიული და კულტურული მენტალობა. ინტეგრაციისა და კულტურულ-ლიტერატურული თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემა. „კულტურათა დიალოგი”.<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>მ. ჩხარტიშვილი, ქართული იდენტობა და მისი მთავარი მარკერი _ თვითსახელწოდება // ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბ. 2009. გვ. 33-63.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>В.С.Жидков, К.Б.Соколов. Десять веков российской ментальности: картина мира и власть. СПб., 2001.<br>http://www.rambler.ru/click?from=info&_URL=http%3A%2F%2Fwww.rian.ru%2Frian%2Fintro.cfm<br>Материалы Мирового общественного форума "Диалог цивилизаций"(6.10.2005) | |
| 1 | ლექცია #11: უნივერსალური ლიტერატურის თეორიისკენ | |

| | | |
|---|---|---|
| 1 | სავალდებულო ლიტერატურა:<br>ადრიან მარინო, კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ. 2010. გვ. 44-47.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>*James Baird,* Critical Problems in the Orientalism of Western Poetry // Asia and the humanities. Princeton, 1977. p. 38-40.<br>Неупокоева И.Г. История всемирной литературы. Проблемы системного и сравнительного анализа. М., 1976, გვ.: 40-41, 241;<br>Intercultural Education, 1997. p. 12-24. | |
| 1<br>2 | ლექცია #12: ინვარიანტების ტიპოლოგია და კულტურული მოდელები<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>ადრიან მარინო, კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ. 2010. გვ. 80-95.<br>რ. იაკობსონი, ლინგვისტიკა და პოეტიკა // ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია. ტ. II. თბ. 2010. გვ. 171-208.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>იან მუკარჟოვსკი, ესთეტიკური ფუნქციდა და ესტეტიკური ნორმა როგორც სოციალური ფაქტები // ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია. ტ. II. თბ. 2010. გვ. 221-239.<br>*D. W. Fokkema,* The Problem of Generalization and the Procedure of Literary Evaluation // Neophilologus, 58, 1974. p 255-260.<br>*A. Fowler,* Periodization  and Internal Analogies // N.L.H. , 3, 1972. p. 493-509. | |
| 1<br>3 | ლექცია #13: კომპარატივისტული ჰერმენევტიკა<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>ი. რატიანი, ჰერმენევტიკა // ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. თბ., 2008;<br><br>ადრიან მარინო, კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ. 2010. გვ. 124-151.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>ჰერმენევტიკა, თანამედროვე საზღვარგარეთული ლიტერატურისმცოდნეობა (თარგმ. თ. ლომიძისა) // სჯანი 1. თბ., 2000, გვ. 207-213;<br>Palmer R. E., The Liminality of Hermes and the Meaning of Hermeneutics // Proceedings of the Heraclitean Society. A Quarterly Report of Philosophy and Criticism of the Art and Sciences. Vol. 5. 1980.<br>*D. W. Fokkema,* Comparative Literature and New Paradigm //Canadian Review of Comparative Literature, 1. 1982. p. 13-15. | |
| 1<br>4 | ლექცია #14: ჰერმენევტიკული ხერხები და წრეები<br><br>სავალდებულო ლიტერატურა:<br><br>ადრიან მარინო, კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია (თარგმნილი ქართულ | |

| | | |
|---|---|---|
| | ენაზე). თბ. 2010. გვ. 151-177.<br>კ. ბრეგაძე, ჰერმენევტიკა და მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია // სჯანი 10, თბ. 2009.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>*Paul Oscar Kristeller,* The Modern System of the Arts in the History of Aesthetics // Ideas in Cultural perspectives. 1982. p. 145-206.<br>*Larry Shouldice,* Wide Latitudes: Comparing New World Literature // Canadian Review of Comparative literature, 1, 1982. p. 48-49. | |
| 15 | ლექცია #15: ლიტერატურის ახალი განსაზღვრება<br>სავალდებულო ლიტერატურა:<br>ადრიან მარინო, კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია (თარგმნილი ქართულ ენაზე). თბ. 2010. გვ. 231-264.<br>ი. ტინიანოვი, ლიტერატურის ევოლუციის შესახებ // ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია. ტ. II. თბ. 2010. გვ. 132-144.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>*Janko Kos,* Old and New Models of Literary History//Writing Literary History. 2006. p. 47-57.<br>*Richard G. Moulton,* World Literature and its Place in General Cul-ture, New-York, 1911. p. 8-15. | |